

ჯორჯ ლეიტონ დისტონი, „ჩერქეზეთი. მოგზაურობა კავკასიაში“

George Leighton Diston, Circassia; A tour to the Caucasus. New-York. Stringer & Townsend, 1850

9th december. Today I have been able to ride out, and take an exterior view of the town. The viceroy's palace is an imposing building, with its veranda and columns; and many other buildings in its neighborhood, also Russian, are handsome edifices. A number of Georgian houses, of one story, somewhat elevated from their gardens, and surrounded by broad, shady balconies, were very cosy-looking places; and if a hand appeared at the window to put aside the curtain, it was sure to be (264) a delicate one. An old ruined fortress half way up a hill, commanding the town, adds much to the picturesqueness of that portion of it; while on the opposite side of the Kur are other structures more modern and useful, and a portion of the ancient town¹.” The latter is a collection of very small, low hovels, half-buried in the hill, but containing a large population; estimated now, with those on the western bank of the stream, at sixty thousand, though I should think the number much less. On one side of Tiflis rises a mountain cliff which overshadows it, and appears to wear a gloomy and foreboding aspect. High up, on a crag, by its side, stands a little Greek chapel, where the devout climb to worship. (265)

9 დეკემბერი. დღეს მოვახერხე გარეთ გასვლა და ქალაქის იერსახის ნახვა. მეფისნაცვლის სასახლე შთამბეჭდავი ნაგებობაა ვერანდითა და სვეტებით; და მის მახლობლად მდებარე ბევრი სხვა, ასევე რუსული ნაგებობა, ლამაზია. რამდენიმე ქართული, ერთსართულიანი, თავიანთ ბალებზე ოდნავ ამალღებული და ფართო, დაჩრდილული აივნებით გარშემორტყმული სახლები, ძალიან მყუდრო ადგილები იყო; ხოლო თუ ფანჯარასთან ფარდის გადასაწევად ხელი ჩნდებოდა, ის უეჭველად ნაზი ხელი იყო. ძველი დანგრეული ციხე-სიმაგრე ნახევრად გორაკის მწვერვალამდე, რომელიც მაღლა დგას ქალაქზე, მატებს მის ამ ნაწილს ფერწერულობას; გორაკის შუაში მდებარე ძველი დანგრეული ციხესიმაგრე, რომელიც ქალაქს დაჰყურებს, მის ამ ნაწილს თვალწარმტაცობას მატებს; მტკვრის მეორე მხარეს კი სხვა, უფრო თანამედროვე და სასარგებლო ნაგებობები და უძველესი ქალაქის ნაწილია². ეს უკანასკნელი ძალიან პატარა, გორაკში ნახევრად ჩაფლული დაბალი ქოხების ნაკრებია, მაგრამ რომლებშიც უამრავი ადამიანი ცხოვრობს; ვარაუდობენ, რომ მდინარის დასავლეთ ნაპირზე მყოფ ადამიანებთან ერთად ეს 60,000 სულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია. ტფილისის ერთ მხარეს აღმართულია ფრიალო კლდე, რომელიც ჩრდილავს მას და პირქუში და ავისმომასწავებელი იერსახე აქვს. მაღლა, კლდეზე, მის გვერდით, დგას პატარა ბერძნული სამლოცველო, სადაც მორწმუნეები თავყვანისცემის გამო ადიან.

¹ Here are the warm baths for which Tiflis is so celebrated, and from which its name is derived—Tpilis-Kalaki, meaning, in Georgian, the warm city.

² აქ არის თბილი აბანოები, რომლებითაც ასე ცნობილია ტფილისი და საიდანაც მომდინარეობს მისი სახელი – ტფილის-ქალაქი (Tpilis-Kalaki), რაც ქართულად თბილ ქალაქს ნიშნავს.

Under pretext of hiring a house, we entered one of the poor native dwellings. A pretty young woman, small, but well formed, and slightly clad, sat on a low stool sewing. She had two babies strapped down on cradles formed of a flat board, fastened horizontally to two upright ones with rockers, A very small back room, containing a poor bed or rug-covered divan and wardrobe—a few cooking utensils hung on the wall, and that article so indispensable to a woman, a mirror—a stool or two, and a mat, were all else worth noting; yet there appeared content and gentle joy in the mistress's heart. She welcomed us gracefully, and as gracefully bid us adieu a (265). I think it was not the first time my young Georgian friend had seen her. (266)

სახლის დაქირავების საბაბით, ერთ-ერთ ადგილობრივ დარბ საცხოვრებელში შევედით. სანდომიანი, ტანდაბალი მაგრამ კარგი აღნაგობისა და მსუბუქად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, დაბალ ტაბურეტზე იჯდა და კერავდა. მას ორი ჩვილი ბრტყელი დაფისგან დამზადებულ აკვნებზე ჰყავდა დაბმული, რომლებიც ჰორიზონტალურად იყო მიმაგრებული ორ ვერტიკალურ საქანელაზე. ძალიან პატარა უკანა ოთახი, დარბული საწოლი თუ ხალიჩაგადაფარებული ტახტი და ტანსაცმლის კარადა, კედელზე ჩამოკიდებული სამზარეულოს რაღაც ჭურჭელი და ქალისთვის ასე საჭირო ნივთი – სარკე, რამდენიმე ტაბურეტი და ჭილოფი, – სულ ეს იყო აღნიშვნის ღირსი; მაგრამ დიასახლისის გულში კმაყოფილება და ნაზი სიხარული გამოჩნდა. ის მოხდენილად მოგვესალმა და ასევე თავაზიანად დაგვემშვიდობა. ვფიქრობ, რომ ჩემმა ახალგაზრდა ქართველმა მეგობარმა ის პირველად არ ნახა.

I next drove to a German settlement, a short distance from the old town. I found a long, broad street, lined with onestory wooden houses, all in good repair, and manifesting a thriftiness and respectability peculiar to that people – many hundred of whom are here most comfortably situated.

შემდეგ ძველი ქალაქიდან არც თუ ისე შორს მდებარე გერმანულ დასახლებაში წავედი. მე ვნახე გრძელი, ფართო ქუჩა, რომელზეც ერთსართულიანი ხის სახლები იდგა, ყველა კარგ გარემოში და ეს ამ ხალხისთვის დამახასიათებელ მომჭირნეობასა და რესპექტაბელურობას ავლენდა, რომელთაგან მრავალი ასეული აქ ძალიან კომფორტულად მოეწყო.

Of the five hotels in Tiflis—two of which are quite good —one only had a spare room, and that I immediately hired with its bedstead; for *beds* are not supplied in these inns, on the supposition that all travellers will bring their own with them; so that if they do not pay their bills the landlord has only to quote an applicable portion of Scripture to them, and they suddenly start off.

ტფილისის ხუთი სასტუმროდან, რომელთაგან ორი საკმაოდ კარგია, მხოლოდ ერთში იყო თავისუფალი ოთახი, რომელიც მე მაშინვე დავიქირავე საწოლთან ერთად; ამ სასტუმროებში ლოგინებს არ გაძლევენ იმ ვარაუდით, რომ ყველა მოგზაურს თავისი ლოგინი თან დააქვს; ასე რომ, თუ ისინი გადასახადებს არ გადაიხდიან, მესაკუთრეს მხოლოდ წმინდა წერილის შესაბამისი ნაკვეთის ციტირება მოუწევს, და ისინი მოულოდნელად წავლენ.

This evening I have been at another party, at the house of one of the ladies I met yesterday. All present were Georgians, except a German officer and myself. About one-third of the females wore European, the others native costume. (267) ... There was no one present, however, more worthy of admiration than the Princess Bebutoff—the good Samaritan who came to offer her sympathies the evening I was carried wounded to her father's house. There was a calmness and (267) gentleness in her manner, and a depth of feeling in her large eloquent eyes, which could not be unheeded. She spoke Trench, and would, I think, have said more than she did, had her husband not given her several significant looks. As it was, I had engaged to be at a party at her own house (268).

ამ საღამოს სხვა წვეულებაზე, იმ ერთ-ერთი ქალბატონის სახლში ვიყავი, რომელიც გუშინ შევხვდი. გერმანელი ოფიცრისა და ჩემ გარდა ყველა ქართველი იყო. ქალების დაახლოებით მესამედი ევროპულ, დანარჩენები კი ეროვნული სამოსში იყვნენ გამოწყობილნი. ... მაგრამ გარდა კეთილი სამარიელი პრინცესა ბებუთოვისა³, – რომელიც თანაგრძნობის გამოსახატად მოვიდა იმ საღამოს, როცა დაჭრილი მიმიყვანეს მამამისის სახლში, – ალტაცების ღირსი არავინ იყო. მის მანერებში სიმშვიდე და სინაზე, მის დიდ მეტყველ თვალებში კი ღრმა გრძნობა ჩანდა, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დატოვებდი. ის ფრანგულად ლაპარაკობდა და, ვფიქრობ, იმაზე მეტსაც იტყოდა, რომ არა მისი ქმრის მრავლისმეტყველი მზერა.

10th. Called on General Soffonoff, (whom I have mentioned as having met on the Danube, in Odessa, and Kertsch,) occupying a position equivalent to our Secretary of State. He received me with much urbanity, and proposed to present me to Prince Waronsoff. I accepted his offer with pleasure, and we proceeded together to the palace. He entered at once the apartment of the viceroy, desiring me to be seated a moment (268) where were several officers, and an aid-de-camp of his highness. During my detention, several officers of distinction arrived, among whom was a Circassian chief, richly dressed in blue and silver, and wearing many decorations. He was, also, at once admitted to the prince. On his retiring, the general came and conducted me to the reception room. The prince came nearly to the door to receive me, called me by name, shook me cordially by the hand, expressed by look and word much pleasure at meeting an American, manifested an intimate knowledge of the route I had taken, and kindly inquired about the injury I had received. I told him that I felt highly honored in being presented to a prince of whom every one, throughout my whole journey had spoken in such exalted terms; and then apologized to him for appearing with my bruised face, saying, that as it was caused by the carelessness of one of his own subjects, I trusted he would excuse it. He appeared not displeased, and desired to present me to the princess—leading me to the back part of the long hall, where a portion of his library was arranged, and where at a table, writing, sat his accomplished lady. She rose, received me in a most gracious manner, and addressed me in French, apologizing for not being conversant with the English language, though she had for a short time resided in England.

10 დეკემბერს გენერალ სოფონოვს (რომელსაც შევხვდი ღუნაიზე, ოდესასა და ქერჩში) მივაკითხე, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო მდივნის შესაბამისი თანამდებობა ეჭირა. მან ძალიან თავაზიანად მიმიღო და თავად ვორონცოვთან წარდგენა შემომთავაზა. მე სიამოვნებით დავთანხმდი მის შეთავაზებას და სასახლისკენ ერთად გავემურეთ. ის მაშინვე მეფისნაცვლის კაბინეტში შევიდა და მთხოვა, რომ ერთი წუთით იქ დავმჯდარიყავი, სადაც მისი ბრწყინვალეების რამდენიმე ოფიცერი და ადიუტანტი იყო. სანამ მე „დაკავებული“ ვიყავი,

³ ქალიშვილობაში კ(ო)რგანოვი ანუ ყორღანაშვილი.

რამდენიმე წარჩინებული ოფიცერი მოვიდა, რომელთა შორის ლურჯ-მოვერცხლილ სამოსში მდიდრულად გამოწყობილი და მრავალი ჯილდოს მქონე ჩერქეზი ბელადი იყო. ისიც მაშინვე თავადთან შეიყვანეს. მისი გამოსვლის შემდეგ, გენერალმა მისაღებ ოთახში შემიყვანა. ჩემთან შესახვედრად თავადი თითქმის კართან მოვიდა, გვართ მომმართა, გულითადად ჩამომართვა ხელი, მზერითა და სიტყვიერად დიდი სიამოვნება გამოხატა ამერიკელთან შეხვედრის გამო, ღრმა ცოდნა გამოავლინა იმ გზის შესახებ, რომელიც გავიარე და თავაზიანად გამომკითხა ჩემი ტრავმის შესახებ. მე ვუთხარი, რომ ჩემთვის დიდი პატივი იყო იმ თავადისთვის წარდგენა, რომლის შესახებაც ჩემი მოგზაურობის დროს ყველა ასე აღტაცებით საუბრობდა; შემდეგ მას ბოდიში მოვუხადე მასთან დალურჯებული სახით მისვლის გამო და რადგან ეს მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომის დაუდევრობით იყო გამოწვეული, იმედია მაპატიებდა. ის არ ჩანდა უკმაყოფილო, ჩემი პრინცესასთვის წარდგენა მოისურვა, გრძელი დარბაზის სიღრმეში შემიყვანა, სადაც მისი ბიბლიოთეკის ნაწილი იყო მოწყობილი და სადაც მისი განათლებული ქალბატონი მაგიდასთან იჯდა და წერდა. ის ადგა, მეტად თავაზიანად მიმიღო, ფრანგულად მომმართა და მოიბოდიშა, რომ ინგლისური არ იცოდა, მიუხედავად იმის, რომ ცოტა ხანს ინგლისში ცხოვრობდა.

At six o'clock in the evening I was ushered by servants in rich livery, through satin-curtained doors into the grand saloon of the princess, where were gathered many distinguished guests. Prince Kotsuhobey, plain in dress, and unpretending, immediately made himself known to me, addressing me in English, and introduced me to several persons present, among whom was the Baron Nicolaïf. The latter, extremely young, I found remarkably intelligent; and equally prepossessing in manner. Soon the curtains at the door were drawn aside, and the princess herself, attended by a page, entered. All rose to receive her. She courtesied gracefully to them, then passed round and conversed with each. She did me the kindness to ask how my wounds were (now quite concealed by my hair), and said that bleeding was extremely good for such contusions; and wished to know if I submitted to any operation. She then inquired if I spoke Italian. I told her that a year's residence in Italy had enabled me to speak it a little; and on turning from French into that language, she said with a (270) slightly embarrassed air, *non passo parlare molto*, then taking the arm of a general, she led the way to a small side-table in an antechamber, where we partook of the usual stimulants to a Russian dinner, and then followed her to the dining-room.

სადამოს ექვს საათზე მდიდრულ სამოსში გამოწყობილი მსახურები ატლასის ფარდებიანი კართ პრინცესას დიდ სალონში შემიძღვნენ, სადაც ბევრი წარჩინებული სტუმარი შეკრებილიყო. უბრალო და უპრეტენზიო სამოსში გამოწყობილი თავადი კოჩუბეი მაშინვე გამეცნო, ინგლისურად მომმართა და რამდენიმე დამსწრე გამაცნო, რომელთა შორის ბარონი ნიკოლაი იყო. ეს უკანასკნელი, ძალიან ახალგაზრდა, საოცრად ჭკვიანი და ასევე თავაზიანი მეჩვენა; მალე კართან ფარდები გადაწიეს და პაჟის თანხლებით პრინცესა შემოვიდა. მის მისასალმებლად ყველა ფეხზე წამოდგა. იგი ყველას გრაციოზულად მიესალმა და შემდეგ თითოეულ დამსწრეს გაესაუბრა. მან თავაზიანობა გამოიჩინა და ჩემი ჭრილობების (ახლა მთლიანად თმით დაფარული) შესახებ მკითხა და მითხრა, რომ ასეთი დაჟეჟილობის დროს სისხლდენა ძალიან კარგი იყო და დაინტერესდა, ოპერაცია ხომ არ გამიკეთებია. შემდეგ მკითხა, იტალიური თუ ვიცოდი. მე ვუთხარი, რომ იტალიაში გატარებულმა ერთმა წელმა მომცა მასზე ლაპარაკის საშუალება; ფრანგულიდან ამ ენაზე გადასვლისას, მან ოდნავ

შეცბუნებული სახით თქვა: non passo parlare molto⁴, მკლავი გამოსდო გენერალს და დერეფანში პატარა მაგიდასთან მიგვიყვანა, სადაც ჩვეულებრივი რუსული ვახშმისთვის დამახასიათებელი წასახემსებელი იყო, შემდეგ კი სასადილო ოთახში გავყევით.

The princess, a daughter of the celebrated Countess Branicka, whose immense fortune was unequalled in Russia, has a very fair complexion, and is handsome. She is of middling height, full form, and looks about thirty-five years of age, though I believe she is somewhat older. Her taste in dress suited well her figure, and her pleasing expression gave a youthful tinge to all she did. She wore a lace cap trimmed (271) with a white and delicate red ribbon. It sat well back on the head, and showed her fine dark hair, which, in a broad mass, was brought low on each cheek, and passed under the ears. Her frock was of dark green plaid silk, with waist open in front, where a stomacher was partly concealed by a broad satin ribbon that fastened about the neck a small lace collar. Over her shoulders was carelessly thrown a white satin scarf; and on her left wrist a bracelet hanging loosely, made of a long string of corals with a gold pendant. On her delicate hand she had a large turquoise, and several diamond rings. (272)

პრინცესას, რომელიც იმ ცნობილი გრაფინია ბრანიცკას ქალიშვილია, რომლის უზარმაზარი ქონების ბადალი რუსეთში არ იყო, ძალიან ღია კანის ფერი აქვს და ლამაზია. ის საშუალო სიმაღლის, სრული აღნაგობისა და დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისას ჰგავს, თუმცა ვფიქრობ, რომ ოდნავ მეტის უნდა იყოს⁵. მისი ჩაცმის გემოვნება შეეფერება მის აღნაგობას, ხოლო სასიამოვნო გამომეტყველება ახალგაზრდულ ელფერს სძენდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა. თავზე თეთრი და ნაზი წითელი ლენტით მორთული მაქმანის ქუდი ეხურა, კარგად ჰქონდა მორგებული და მისი თხელი მუქი თმის დანახვის საშუალებას იძლეოდა, რომლის კულულები ყურების უკან გადიოდა და ლოყებზე ეცემოდა. მისი მუქი მწვანე უჯრედებიანი აბრეშუმის კაბა, წინ გახსნილი წელით, ნაწილობრივ ფართო ატლასის ლენტით იყო დაფარული, რომელიც კისერზე პატარა მაქმანის საყელოთი იყო დამაგრებული. თეთრი ატლასის შარფი მხრებზე დაუდევრად ჰქონდა მოგდებული; მარცხენა მაჯაზე თავისუფლად ეკიდა მარჯნის გრძელი მძივის სამაჯური ოქროს საკიდით. ნაზ ხელოზე ერთი მსხვილი ფირუზისა და რამდენიმე ბრილიანტებიანი ბეჭედი ეკეთა.

The princess smoked!! Immediately after dinner, her page brought in a rich Turkish pipe, set it on the floor, unfolded the long flexible stem, and presented its amber mouthpiece to the lady. She took it in her jewelled hand, gave a few graceful whiffs, and then returned it to the page. She seemed to enjoy it, was evidently accustomed to it, and it was the only thing I saw about her that was in bad taste—one that I could not but heartily condemn. It is bad enough for men to fill their pockets and mouths, and scent their whole person with tobacco; but when the charm of that “ineffable perfume which emanates from the garments of a refined woman,” as Bulwer says, is thus destroyed, half of her power to fascinate, and the divinity of that celestial halo of purity which encircles her like a tiara of pearls, vanishes. The princess's page is a good looking youth, very differently dressed from the other attendants—something in the Hindoo style (273).

⁴ non posso parlare molto (იტალ.) – ბევრს ვერ ვილაპარაკებ.

⁵ ელიზაბეტა ბრანიცკა (1792-1880), 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მეუღლე.

პრინცესა ეწეოდა!! ვახშმის დასრულებისთანავე მისმა პაჟმა მდიდრული თურქული ყალიონი შემოიტანა, იატაკზე დადგა, გაასწორა მისი მოქნილი მილი და ქალბატონს ქარვის მუნდშტუკი მიაწოდა. მან ის სამკაულებით მორთული ხელით აიღო, რამდენიმე მოხდენილი ნაფაზი მისცა და შემდეგ პაჟს დაუბრუნა. ჩანდა, რომ მას ეს სიამოვნებდა, ის ამას აშკარად მიჩვეული იყო და ეს იყო მასში დანახული ერთადერთი ცუდი ტონი, ის რაც არ შემეძლო, რომ გულწრფელად არ დამეგმო. საკმაოდ ცუდია, როცა მამაკაცებს ჯიბეები და პირი თამბაქოთი აქვთ გამოტენილი და მას ყნოსავენ; მაგრამ როდესაც „დახვეწილი ქალის სამოსის ენით გამოუთქმელი სუნამოს“ მომხიბვლელობა, – როგორც ამას ბულვერი⁶ ამბობს, – ასე ნადგურდება, ქრება მისი მომხიბვლელობის ძალის ნახევარი და სიწმინდის ზეციური შარავანდედის ღვთაებრიობა, რომელიც მას მარგალიტის ტიარასავით აკრავს. პრინცესას პაჟი სიმპათიური ახალგაზრდაა, სხვა მსახურებისგან სრულიად განსხვავებულად, ერთგვარ ინდურ სტილში, ჩაცმული.

11th. Prince Kotsuhobey, in accordance with a promise (275) last evening, called this morning and presented to me a splendid Russian map of this region (276).

11 დეკემბერი. გუშინდელი დაპირებისამებრ, თავადმა კოჩუბეიმ ამ დილით მომაკითხა და ამ მხარის შესანიშნავი რუკა მაჩუქა.

Khanikoff, an author of much celebrity here, extended to me his acquaintance, and presented me to Count De Lille, companion of Count Courtigie, employed by the French government to make observations on the military establishments of the country, in reference to adopting the same in Africa. Tea and cake were handed around, then commenced a gallopade, which was followed by quick waltzes—couples succeeding each other, after passing up and down the hall once; it being considered somewhat improper to extend a waltz further, with the same partner. Ice creams and sherbet were next brought, and the dwarf came to receive the dishes. The ladies were then all seated at the upper end of the hall, and Mons. Rodolf, a distinguished French professor of legerdemain, went through a series of sleights of hand that astonished all. (276).

ხანიკოვმა, აქ ძალიან ცნობილმა მწერალმა, თავისი ნაცნობები გამაცნო და წარმადგინა გრაფ დე ლილთან, გრაფი კურტიჟის თანამგზავრთან, რომელიც საფრანგეთის მთავრობის მიერ დაქირავებული იყო ამ ქვეყნის სამხედრო დაწესებულებებზე დასაკვირვებლად აფრიკაში იმავეს მიღებასთან დაკავშირებით. ჩაისა და ნამცხვრების ჩამოტარების შემდეგ გალოპის ცეკვა დაიწყო, რომელსაც მოჰყვა სწრაფი ვალსი, მთელი დარბაზის ზევით-ქვევით გავლის შემდეგ კი წყვილები შეიცვალნენ; ვალსის შემდგომი გაგრძელება იმავე პარტნიორთან ერთად რამდენადმე არასწორად ითვლება. შემდეგ ნაყინი და შარბათი მოიტანეს, ჯუჯა ჭურჭლის წასაღებად მოვიდა. ყველა ქალბატონი დარბაზის ზედა ბოლოში დაჯდა და ბატონმა როდოლფმა, გამოჩენილმა ფრანგმა მეფოკუსემ, ტრიუკების სერია წარმოადგინა, რამაც ყველა გააოცა.

⁶ ედვარდ ჯორჯ ერლ ლიტონ ბულვერ-ლიტონი (1803-1873) – პირველი ბარონი ლიტონი, ინგლისელი რომანისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

Mons. R. was three years in Constantinople by the wish of the Sultan, who made him many valuable presents. He is (277) yet young, quite gentlemanly, and has with him a sweet little Italian wife. After his feats the mazurka was danced for an hour; but it had nothing of the bewitching grace, that true poetry of motion which characterizes the Spanish waltzes as danced by the Madridlenians. One is the graceful roll of the ship at sea, the other, the feather in a whirlwind.

ბატონი როდოლფი სამი წელი იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში სულთნის⁷ სურვილით, რომელმაც მას მრავალი ძვირფასი საჩუქარი უბოძა. ის ჯერ ახალგაზრდაა, ჯენტლმენია და თან სანდომიანი პატარა იტალიელი ცოლი ახლავს. მისი ფოკუსების შემდეგ, მაზურკას კიდევ ერთი საათის განმავლობაში ცეკვავდნენ; მაგრამ მასში არ იყო იმ მომაჯადოებელი გრაცია, მოძრაობის ის ჭეშმარიტი პოეზია, რომელიც მადრიდელების შესრულებით ახასიათებს ესპანურ ვალსებს. ერთი ზღვაზე გემის მოხდენილი დახრილობაა, მეორე კი ბუმბული გრიგალში.

In the morning, M. Khanikoff favored me with a call and a book to read. Baron Nicolaif came and entertained me for two hours, and in the evening, I had a visit from a Mr. Ivanhoe, a Greek from Smyrna, (278) Hardly any one could have been more welcome than Mr. Ivanhoe, for with him. I lived over again my delightful sojourn in Ionia (279).

დილით ბატონმა ხანიკოვმა პატივი დამდო მოკითხვით და წასაკითხად წიგნი მომცა. მოვიდა ბარონი ნიკოლაი და ორი საათის განმავლობაში მართობდა, საღამოს კი სმირნელი ბერძენი, ბატონი აივენჰო მესტუმრა და მასზე უფრო სასურველი სტუმარი ვერავინ იქნებოდა, რადგან მასთან ერთად კვლავ განვიცადე იონიაში გატარებული სასიამოვნო დღეები.

To-day I was called on by Mons. Marr, employed by the government to ascertain the properties of the soil, and improve the agriculture of the valley. His residence is in Gurriel, the district I first entered after leaving the Euxine. He stated that fruits and grain could here be brought to almost any perfection, and that he had succeeded in raising a very excellent cotton (280).

დღეს ბ-ნმა მარმა მომიკითხა, რომელიც მთავრობამ ნიადაგის თვისებების შესასწავლად და ხეობის სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად დაიქირავა. მისი რეზიდენცია გურიაში, იმ ოლქშია, რომელშიც ევესინიდან გამოსვლის შემდეგ შევედი. მან თქვა, რომ აქ შესაძლებელია ხილისა და მარცვლეულის თითქმის ნებისმიერ სრულყოფილებამდე მიყვანა და რომ მან შეძლო ძალიან კარგი ბამბის გახარება.

M. K. speaks the Persian language, and all his servants are Persians, brought with him from that country. Their costume is like the Georgians, and they wear their caps at all times.

⁷ იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის სულთანი აბდულმეჯიდ I (1839-1861).

ბ-ნი ხანიკოვი სპარსულ ენაზე საუბრობს და მისი ყველა მსახური იმ ქვეყნიდან ჩამოყვანილი სპარსელია. მათი კოსტიუმი ქართველებისას ჰგავს და თავზე მუდამ ახურავთ ქუდი.

On taking leave—and it is fashionable to do so, without bidding any one adieu—General Potosky offered me a seat in his carriage, and I hastened to the Princess Bebutoff's. The brilliancy of the assembly there, could hardly be surpassed. Oriental beauty, luxury, and loveliness were around me. In one corner reclined a Persian damsel, and a Circassian princess. Opposite, on a lounge, sat a brilliant Georgian belle, and by the piano stood the charming lady of the mansion, each surrounded by a *colérie* of friends, forming groups bewitchingly fair. The manners of all were as chaste and decorous as the costumes were rich and modest, and yet effective. The art of dress had evidently reached great perfection among them (285).

წასვლა – და ამის დაუმშვიდობებლად გაკეთება, მოდურია, გენერალმა პოტოცკიმ თავისი ეტლით წაყვანა შემომთავაზა და მე პრინცესა ბებუთოვისკენ გავეშურე. იქ შეკრებილთა ბრწყინვალეობას ვერაფერი გადააჭარბებდა. ჩემს ირგვლივ აღმოსავლური სილამაზე, ფუფუნება და მომხიბვლელობა იყო. ერთ კუთხეში სპარსელი კეთილშობილი ახალგაზრდა ქალი და ჩერქეზი პრინცესა იყვნენ წამოწოლილები. მოპირდაპირე სალონში ბრწყინვალე ქართველი ლამაზი ქალბატონი იჯდა, პიანინოსთან კი სასახლის მომხიბვლელი ქალბატონი იდგა; თითოეული მათგანი მეგობრებით იყო გარშემორტყმული, რაც მომაჯადოებელ ლამაზ ადამიანთა ჯგუფებს ქმნიდა. ყოველი მათგანის ქცევა უმწიკვლო და დარბაისლური იყო, მათი კოსტიუმები კი მდიდრული და სადა, მაგრამ ეფექტური. როგორც ჩანს, მათმა ჩაცმის ხელოვნებამ აშკარად დიდ სრულყოფილებას მიაღწია.

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)